საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიღურაძე ივანე ტარიელის ძე



ი. კიღურაძე

კიღურაძე ივანე ტარიელის ძე (დ. 12. I. 1937, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1979), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1960). მუშაობდა თსუ-ში (1963–2006) და საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში (1966-იდან) სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო თსუ-ის პროფესორი და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა განყ-ბის გამგე (1973–89); საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. (2011-იდან თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი) ინ-ტის დირექტორი (1989–2006); არის ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი და დიფერენციალურ განტოლებათა განყ-ბის გამგე (2001-იდან).

კ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივი თეორიის საკითხები და მათთან დაკავშირებული სასაზღვრო ამოცანები. მან შემოიღო არაავტონომიურ დიფერენციალურ განტოლებათა კლასიფიკაცია მათი ამონახსნების ოსცილაციური თვისებების მიხედვით; დაადგინა არსებითად არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების წესიერ სინგულარულ, რხევად და მონოტონურ ამონახსნთა არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები; მიიღო ასეთი ამონახსნების ზუსტი ასიმპტოტური შეფასებები და სხვ. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

კ. არის საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების – „Georgian Mathematical Journal“ („ქართული მათემატიკური ჟურნალი“; 1994-იდან), და „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“ („მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“) მთ. რედაქტორი, ასევე მრავალი საერთაშ. სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

იყო საქართვ. ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავ-რე (1995–96), საქართვ. პარლამენტის წევრი (პარტიული სიით „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“), განათლების, მეცნ. და კულტ. კომისიის თავ-რე (2012–16).

არის მრავალი სამეცნ. პუბლიკაციის, მ. შ. 9 მონოგრაფიის ავტორი.

კ-ს მიღებული აქვს ა. რაზმაძის სახ. პრემია (1976), ივ. ჯავახიშვილის (1977), თ. მასარიკის სახ. უნ-ტის (ქ. ბრნო, ჩეხეთი) ვერცხლის (1977) და ამავე უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის ოქროს (1981), ჩეხოსლოვაკიის მათ. და ფიზ. კავშირის (1990), აგრეთვე ჩეხეთის მეცნ. აკადემიის ბოლცანოს (2006) მედლები და საქართვ. ღირსების ორდენი (1996).

თხზ.: On bounded and periodic solutions of linear higher order differential equations. „Математические заметки“, 1985, т. 37, №1; On the solvability of the Vallée-Poussin problem. „Дифференциальные уравнения“, 1985, т. 21, № 3; Boundary value problems for systems of ordinary differential equations. „Итоги науки и техники“, 1987, т. 30; Boundary value problems for systems of linear ordinary differential equations, Brno, 1997.

ლიტ.: Иван Тариелович Кигурадзе (К 60-летию со дня рождения), «Дифференциальные уравнения», 1997, т. 39, №1.